

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე  
პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის ბრძანება №123/01-01  
საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის  
კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის № 59/2020 დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე  
დამტკიცებული კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

3 სექტემბერი, 2020 წ.  
16:00

კომისიის ხუთი წევრიდან სხდომას ესწრებოდა ხუთივე წევრი: 1. თსუ-ს პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. თსუ-ს პროფესორი გია სირბილაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი); 4. თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მაგდა ცინცაძე; 5. საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ასოცირებული პროფესორი ქეთევან კუთხაშვილი.

#### დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
  2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.
1. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფესორ ალექსანდრე გამყრელიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტის შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4). შეფასების I კატეგორიაში („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, რადგან კონკურსანტის მანანა ხაჩიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შეფასების II კატეგორიაში („კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“): კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო კურსებს წარმოადგენს. მისი სასწავლო-მეთოდური საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება მაღალი.

III კატეგორია („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“): კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ყველა ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, მათ შორის 3 ნაშრომი გამოქვეყნებულია იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 37, h-ინდექსი – 4, g-ინდექსი – 4; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე – 4, ადგილობრივ კონფერენციებზე – 1; კონკურსანტი თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები, რაც არსებითად მოიცავს მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან თანამშრომლობას. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

IV კატეგორიაში კომისიის მიერ შეფასდა ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები: კონკურსანტი არის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, სტუდენტთა საბაკალავრო პროექტების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი. კონკურსანტი არის თსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრი. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის მაღალი.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ მანანა ხაჩიძეს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ პროფესორის ვაკანსიასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 5 წევრმა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (ხუთი მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი მანანა ხაჩიძის კანდიდატურას.


**დაადგინეს:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში, შეფასების პირველი და მეორე ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის შედეგის მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა: **მანანა ხაჩიძე.**

2. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად


**დაადგინა:**

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


კომისიის თავმჯდომარე,  
პროფ. ალექსანდრე გამყრელიძე




კომისიის თავმჯდომარის მოადგილე,  
პროფ. გია სირბილაძე



კომისიის წევრი,  
ასოც. პროფ. ქეთევან კუთხაშვილი



კომისიის წევრი,  
ასოც. პროფ. მაგდა ცინცაძე



კომისიის მდივანი,  
ასოც. პროფ. ირინა ხუციშვილი

